

განცხადება

გაცნობებთ, რომ ბსუ-სა და სს „ბაზისბანკს“ შორის მ/წ 20 თებერვალს გაფორმდა ახალი ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება, სადაც დანართი 3-ის მე-3 და მე-5 მუხლის თანახმად, კლიენტი (ბსუ) ვალდებულია მოახდინოს თითოეული თანამშრომლის ინფორმირება მომსახურების საკომისიოს დარიცხვის, ოვერდრაფტისა და მისი პირობების შესახებ, კერძოდ:

დანართი 3

მუხლი 3. მომსახურების საკომისიო

3.1. ბარათების მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფები მითითებულია ქვემოთ (წინამდებარე დანართში).

3.2. მომსახურების სახეობა და საკომისიოს ოდენობა, რომელიც არ არის მითითებული წინამდებარე დანართში, რეგულირდება ბანკის სტანდარტული “VISA ბარათების მომსახურების ტარიფების” შესაბამისად.

3.3. ბანკი უზრუნველყოფს მომსახურების საკომისიოს ცალმხრივად, უდავო და უაქცეპტო წესით ჩამოჭრას კლიენტის და/ან თანამშრომლის/სტიპენდიანტის ანგარიშ(ებ)იდან, იმ დროისათვის მოქმედი ტარიფის შესაბამისად.

3.4. ძირითადი ხელშეკრულების და/ან წინამდებარე დანართის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, თანამშრომლების/ სტიპენდიანტების ბარათებისათვის ავტომატურად ამოქმედდება ბანკის სტანდარტული “VISA ბარათების მომსახურების ტარიფები”.

3.5. კლიენტსა და თანამშრომელს შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ბარათისათვის ავტომატურად ამოქმედდება ბანკის სტანდარტული “VISA ბარათების მომსახურების ტარიფები”;

3.6. თუ კი ბანკის საკრედიტო პროდუქტებზე (გარდა წინამდებარე დანართის მე-5 მუხლში აღნიშნული საკრედიტო პროდუქტისა) თანამშრომლებისათვის/სტიპენდიანტებისთვის დადგენილია ან მომავალში დადგინდება სპეციალური ტარიფები/პირობები, მაშინ ისინი მითითებულია (მითითებული იქნება) ძირითადი ხელშეკრულების შესაბამის დანართში (არა წინამდებარე დანართში).

3.7. კლიენტი ვალდებულია, მოახდინოს თითოეული თანამშრომლის/სტიპენდიანტის ინფორმირება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პირობების შესახებ.

მუხლი 5. ოვერდრაფტი

5.1. თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ მათთვის ძირითადი ხელშეკრულების და/ან ამ დანართის საფუძველზე გახსნილ საბარათე ანგარიშებზე ისარგებლონ ოვერდრაფტით ძირითადი ხელშეკრულებით და/ან ამ დანართით განსაზღვრული პირობებით.

5.2. ოვერდრაფტი არის ბანკის მიერ თანამშრომლის საბარათე ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტი, თანამშრომლის მიერ ბანკისგან მიღებული კრედიტი;

5.3. ოვერდრაფტის ლიმიტი განისაზღვრება კონკრეტული თანამშრომლის ხელფასის ოდენობიდან გამომდინარე, ოვერდრაფტის ზღვრული მოცულობა მითითებულია ამ დანართში.

5.4. არასანქცირებული ოვერდრაფტი არის ბანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე თანამშრომლის საბარათე ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი (დავალიანება).

5.5. ოვერდრაფტით (მათ შორის არასანქცირებული ოვერდრაფტით) სარგებლობისათვის თანამშრომელი ვალდებული იქნება ყოველთვიურად გადაუხადოს ბანკს სარგებელი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი მითითებულია ძირითადი ხელშეკრულების და/ან ამ დანართის დანართში.

5.6. ოვერდრაფტზე სარგებლის დარიცხვა მიმდინარეობს ყოველდღიურად, ოვერდრაფტის წარმოშობის თარიღიდან მის ფაქტიურ დაფარვის დღემდე. ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება თვეში 30 (ოცდაათი) დღით.

5.7. კლიენტის მიერ წინამდებარე დანართის “4.1.1.” ქვეპუნქტში აღნიშნული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თანამშრომლის საბარათე ანგარიშზე არსებული დავალიანება (ათვისებული კრედიტი და მასზე დარიცხული სარგებელი) იფარება ჩარიცხული თანხის შესაბამისად, თანხის ჩარიცხვის ყოველ ჯერზე. ამასთან საბარათე ანგარიშზე ჩარიცხული/შემოტანილი თანხით თანამშრომლის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა.

5.8. თანამშრომელსა და კლიენტს შორის შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის და/ან ძირითადი ხელშეკრულების და/ან ამ დანართის შეწყვეტის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებული იქნება ყოველთვიურად (ყოველი თვის ბოლოს) შემოიტანოს/ჩარიცხოს საბარათე ანგარიშზე ათვისებული ოვერდრაფტის მინიმუმ 5%.

5.9. ბანკი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კლიენტის წერილობით მომართვა თანამშრომლ(ებ)ის საბარათე ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შესახებ, თუ კი ეს ეწინააღმდეგება ბანკის საკრედიტო პოლიტიკას.

5.14. ბანკი უფლებამოსილია თანამშრომლისათვის შეტყობინების გარეშე ცალმხრივად გააუქმოს ოვერდრაფტით სარგებლობის უფლება და/ან შეაჩეროს ბარათის მოქმედება და მოსთხოვოს თანამშრომელს მის მიერ ათვისებული ოვერდრაფტის დაბრუნება მასზე დარიცხულ სარგებელთან ერთად, ერთ-ერთ ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში:

5.14.1. დადგენილ ვადაში არ დაიფარა თანამშრომლის მიერ ოვერდრაფტის სახით ბანკისაგან მიღებული კრედიტი და/ან მასზე დარიცხული სარგებელი;

5.14.2. თანამშრომელსა და კლიენტს შორის შეწყდა შრომითი ურთიერთობები;

5.14.3. შეწყდა წინამდებარე დანართი და/ან ძირითადი ხელშეკრულება.

5.15. “5.14.” პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამშრომელს ეხსნება სასესხო ანგარიში, რომელზეც გადადის საბარათე ანგარიშზე არსებული დავალიანება, რომელსაც ერიცხება სარგებელი არასანქცირებული ოვერდრაფტისათვის დადგენილი ოდენობით.

5.16. კლიენტი ვალდებულია მოახდინოს თითოეული თანამშრომლის ინფორმირება ოვერდრაფტისა და მისი პირობების შესახებ.

მომსახურების ტარიფები			
ბარათის ტიპი	Electron	Classic*	Gold**
ბარათის ღირებულება			
საბარათო ანგარიშის გახსნა	უფასო	უფასო	უფასო
ანგარიშზე პირველადი შენატანი	არ მოითხოვება	არ მოითხოვება	არ მოითხოვება
ბარათის დაგეგმვა	უფასო	უფასო	უფასო
ბარათის მოქმედების ვადა	2 წელი	2 წელი	2 წელი
ბარათის პირველი წლის მომსახურება	უფასო	უფასო	უფასო
ბარათის მეორე წლის მომსახურება	უფასო	უფასო	უფასო
განასლებული ბარათის პირველი წლის მომსახურება	უფასო	უფასო	უფასო
განასლებული ბარათის მეორე წლის მომსახურება	უფასო	უფასო	უფასო
ბანკომატში თანხის განაღდებას საკომისიო			
ბაზისბანკის სხვა ბანკომატში	0%	0%	0%
აგენტ ბანკის ბანკომატში	1%	1%	1%
სხვა ბანკის ბანკომატში	2% (მინიმუმ 3 აშშ დოლარი)	2% (მინიმუმ 3 აშშ დოლარი)	2% (მინიმუმ 3 აშშ დოლარი)
ბანკში თანხის განაღდებას საკომისიო			
ბაზისბანკში	0%	0%	0%
აგენტ ბანკში	1%	1%	1%
სხვა ბანკში	2% (მინიმუმ 3 აშშ დოლარი)	2% (მინიმუმ 3 აშშ დოლარი)	2% (მინიმუმ 3 აშშ დოლარი)
საკომისიო სავაჭრო ობიექტებში			
აღბილობრივი	0%	0%	0%
სამართაშორისო	0%	0%	0%
ოვერდრაფტი			
ოვერდრაფტის ზღვრული მოცულობა (პროცენტი 1 თვის სელფსთან მიმართებაში)	100%-300%	100%-400%	100%-500%
ოვერდრაფტზე დარიცხული სარგებულის წლიური საპროცენტო განაკვეთი	17%-21%	17%-19%	16%-17%

არასანქცირებულ ოპერატორულ დარიცხვად სარეგისტრაციო საპროცენტო განაკვეთი	სტანდარტული	სტანდარტული	სტანდარტული
სარეგისტრაციო/განაკვეთის ლიმიტი (24 საათში)			
ნაღდი თანხის გამოტანის ლიმიტი (ექვივალენტი ლარში)	5000 აშშ დოლარი	3000 აშშ დოლარი	6000 აშშ დოლარი
გარიგების ლიმიტი (ექვივალენტი ლარში)	5000 აშშ დოლარი	14000 აშშ დოლარი	30000 აშშ დოლარი
ამონაწერი საბარათი ანგარიშიდან	უფასო	უფასო	უფასო
“ინტერნეტ ბანკინგი“-ს მომსახურება	0.4 ლარი	0.4 ლარი	0.4 ლარი

Classic*_ ის ტიპის ბარათზე ოპერატორულ პირობები ვრცელდება საშუალო რბოლის
მენეჯმენტზე

Gold**_ ის ტიპის ბარათზე ოპერატორულ პირობები ვრცელდება მაღალი რბოლის მენეჯმენტზე
სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევაში მოქმედებს Electron _ ის პირობები

გარდა ამისა, ხელშეკრულებით განსაზღვრულია სტუდენტური,
სამომხმარებლო და იზოთეკური სესხების შემდეგი ტარიფები:

სესხები

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

სტუდენტური სესხების პროგრამა

ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის დასაფინანსებლად

- სესხის ვადა – 3 თვიდან 2 წლამდე
- სესხის თანხა – სწავლის ღირებულების შესაბამისად / მაქსიმუმ 10,000 ლარი
- საპროცენტო განაკვეთი – წლიური 18% - დან

- საშეღავათო პერიოდი – 1 წლამდე

სამაგისტრო სასწავლო პროგრამის დასაფინანსებლად

- სესხის ვადა – 3 თვიდან 2 წლამდე
- სესხის თანხა – სწავლის ღირებულების შესაბამისად
- საპროცენტო განაკვეთი – წლიური 18% - დან
- საშეღავათო პერიოდი – 1 წლამდე

სემესტრული სესხი

- სესხის ვადა – 6 თვემდე
- სესხის თანხა – სწავლის ღირებულების შესაბამისად
- საპროცენტი განაკვეთი – წლიური 18% - დან

სტუდენტური სესხის მისაღებად საჭიროა სტუდენტს თავდებში ჩაუდგეს ორი პირი, რომლებსაც ხელფასი ერიცხებათ საქართველოს რომელიმე ბანკში, თავდებ პირს უნდა გააჩნდეს დადებითი საკრედიტო ისტორია.

სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების გამარტივებული პირობები და შეღავათები
ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის

სამომხმარებლო სესხები

სესხის მოცულობა

მინიმალური თანხა – 300 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი

მაქსიმალური თანხა – 20 000 ლარი ან მისი ექვივალენტი

სესხის ვადა

მინიმალური – 1 თვე

მაქსიმალური – 3წელი

საპროცენტო განაკვეთი

წლიური საპროცენტი განაკვეთი – 12%- დან

იპოთეკური სესხები

სესხის მოცულობა

მინიმალური თანხა – 1000 აშშ დოლარი

მაქსიმალური თანხა – 100 000 აშშ დოლარი

სესხის ვადა

მინიმალური – 6 თვე

მაქსიმალური – 10 წელი

საპროცენტო განაკვეთი

წლიური საპროცენტი განაკვეთი – 10,5%- დან